



რა პრობლემა იწვება ბავშვის მშობლებზე მიჯაჭვულობის დროს და როგორ უნდა მოიქცანენ ამ დროს მშობლები

ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვები მშობლებს იმდენად მიეჯაჭვებიან, რომ მათ გარეშე ერთ ნუთსაც ვერ ძლებენ და განსაკუთრებით დედასთან მცირეხანაი განშორებაც კი, მათში სტრესს იწვევს. სამწუხაროდ, ეს ერთი შეხედვით პატარა უსიამოვნება შესაძლოა, მომავალში სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემების მიზეზი გახდეს. როდის ეჯაჭვებიან ბავშვები მშობლებს, განსაკუთრებით როგორ ბავშვებს უჭირთ სიახლესთან შეგუება და როგორ უნდა დაეხმარონ მათ მშობლები ახალ გარემოსთან შეგუებაში, ამ საკითხებზე გვესაუბრება ფსიქოლოგი ანა ცინაძე:



ბავშვთან განშორების ნუთებში შეგიძლიათ შესთავაზოთ მას, რომ საბავშვო ბაღში თან წაიღოს საყვარელი სათამაშო. შეპირდით, რომ სამსახურში სულ მასზე იფიქრებთ და ხშირად მოიკითხავთ

ბავშვები თავისი ბუნებით კონსერვატორები არიან. ისინი ყოველთვის ცდილობენ შეინარჩუნონ „სტატუს-ქვო“. წარმოიდგინეთ, რა ძნელი მისაღებია ბავშვისთვის ის ფაქტი, რომ დედა, რომელიც მანამდე სულ მასთან იყო, ახლა ყოველ დღით უნდა გავიდეს სახლიდან, რადგან მას სამსახური ელოდება. ბავშვი ამ სიახლეს სხვადასხვა გამოხატულებით პასუხობს: დედას სახლიდან გასვლის წინ ებლაუჭება, ჭირვეულობს, ტირის. ბავშვისთვის მიუღებელია ეს სიახლე, რადგან ის გაჩენის დღიდან დედ-მამის სიყვარულითა და ალერსით არის გარემოცული და ეწინააღმდეგება ცვლილებების ნებისმიერ გამოვლინებას. ბავშვისთვის ჯერჯერობით ძნელი მისაღებია ის, რომ მშობლების და განსაკუთრებით, დედის ცხოვრების რა-

ლაც ნაწილი არ არის მასთან დაკავშირებული. ამ შემთხვევაში, მას ერთადერთი სურვილი ამოძრავებს: ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც ადრე იყო. სიტუაცია ძალიან რომ არ განვადვდეს და დედ-მამასთან განშორების ფაქტმა არ გამოიწვიოს ბავშვის პრობლემური ქცევა, საჭიროა ადრინდელი ასაკიდან ბავშვი მიეჩვიოს იმას, რომ მის გვერდით დედ-მამის გარდა, კიდევ ბევრი სხვა ადამიანი (ბებია-ბაბუა, სხვა ახლო ნათესავები და ოჯახის ნაცნობ-მეგობრები). კარგი იქნება, თუ ისინი ხანდახან შეცვლიან დედას და ბავშვთან გაატარებენ დროს გარკვეულ ნაწილს. ამით დედასაც შეუძლებს ბუქდება საქმე და ბავშვიც მიეჩვევა სხვა ადამიანებთან ყოფნას.

როდის ყალიბდება ბავშვის მიჯაჭვულობა მშობლებზე?
- რა თქმა უნდა, ყველა ბავშვი არ განიცდის ამგვარ სიძნელეებს ახალ სიტუაციასთან შეგუების დროს. ბევრ მათგანს ახ-

ბიბის აყვანის შემთხვევაში, რამდენიმე დღე მასთან დატრიალად სახლში. ბავშვი უნდა სედავდეს, რომ თქვენ პატივს სცემთ ამ ახალ ადამიანს და უნდა გტყუარდეს თქვენს კეთილგანწყობას ბიბის მიმართ

უცხო ენების სასწავლო ცენტრი OXFORD HOUSE
მთავარია! უცხო ენების შესწავლას უმჯობესად ვაძლავთ: ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური, იტალიური, რუსული.
 სწავლება მიმდინარეობს უახლესი სახელმძღვანელოებითა და მეთოდებით, როგორც ჯგუფურად – ისე ინდივიდუალურად. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საუბარს, მოსმენას, გრამატიკას და კითხვის უნარების გაუმჯობესებას.
 კურსდამთავრებულები მიიღებენ საერთაშორისო სერტიფიკატს, ხოლო წარჩინებული სტუდენტები გაიგზავნიან საზღვარგარეთ სასწავლებლად.
ასევე ვთავაზობთ სპეციალურ პროგრამებს ბავშვებისათვის
მოიხატე დრო! მიიღეთ განათლება პროფესიონალებთან!
 მისამართი: რეზო თაბუკაშვილი №1
 ტელ: 99-56-76; 890 115-115

სიათებს თავგადასავლების მიმართ თანდაყოლილი სიყვარული, ახლის შეცნობის სურვილი. მორცხვი და მორიდებული ბავშვები კი უფრო ძნელად ეგუებიან ახალ ვითარებას. გარდა ამისა, ბავშვის ამგვარი ქცევა შეიძლება განპირობებული იყოს ფსიქოლოგიური ხასიათის გარკვეული პრობლემებით; გადატანილი შიშის, სტრესის ან სხვა ძლიერი უარყოფითი ემოციის განცდის შედეგად. ამგვარ ქცევას შეიძლება, ადგილი ჰქონდეს ნებისმიერ ასაკობრივ ეტაპზე.

რას განიცდის ამ დროს ბავშვი?
- ამ დროს ბავშვი თავს დაუცველად გრძნობს, მას უჭირს დამოუკიდებლად წარმოშობილ პრობლემებთან გამკლავება და მტკიცეულად განიცდის დედასთან განშორებას რამდენიმე საათითაც კი. ჭირვეულობს, ცუდად სძინავს. ასეთ დროს 4-5 წლის ბავშვს მოულოდნელად შეიძლება მოუნდეს, რომ დედამ ხელში დარწმუნებით პატარა ბავშვის ქცევა უბრუნდება. (თითების პირში ჩადება, პატარასავით ტიტინი და სხვა). თუ მშობელს ამგვარ სიტუაციასთან უწევს შეხება, ის აუცილებლად უნდა ჩაუფიქრდეს ბავშვის ქცევის გამომწვევი მიზეზებს და არამც

და არამც არ უნდა გაკიცხოს ამის გამო. ის საკუთარი ძალებით (შეუქმნას ბავშვს სიყვარულით აღსავსე გარემო) და სპეციალისტების დახმარებით, უნდა შეეცადოს გამოიყვანოს ბავშვი ამგვარი მდგომარეობიდან.

როგორ უნდა გადაიჭრას ოჯახში ბავშვის მშობლებზე მიჯაჭვულობის პრობლემა?

- თავდაპირველად გეტყვით, იმისთვის, რომ თქვენმა არყოფნამ ნეგატიური რეაქცია არ გამოიწვიოს, სადმე წასვლის წინ აუცილებლად უთხარით ბავშვს, სად მიდიხართ და რამდენ ხანში დაბრუნდებით. ეს უნდა გააკეთოთ იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენი აზრით, ბავშვი ჯერ კიდევ პატარაა ამ ინფორმაციის აღსაქმელად. თქვენი სიტყვები მას დაამშვიდებს და ლოდინს გაუადვილებს. ბუნებრივია, დედის სამსახურში გასვლას წინ უნდა უსწრებდეს გარკვეული მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის თანდათანობით გადასვლას ერთი ეტაპიდან მეორეზე. აუცილებელია, ამ პერიოდის განმავლობაში, მშობლები არ შეეცადონ ბავშვს შეაცვლინონ ის მოქმედებები და ჩვევები, რაც მას მანამდე ჰქონდა. მაგალითად, არ დაიწყეთ ბავშვის „პამპერსიდან“ ქოთანზე გადაყვანა, არ წაართვათ საწოლგარე და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, არ შეიტანოთ ამ ეტაპზე კარდინალური სიახლე ბავშვის ცხოვრებაში. ასე მას უფრო გაუადვილებს სადაპტაციო პერიოდის გავლა. ასევე, მშობლებმა უნდა გადანწყვიტონ თუ რომელი დამხმარე ფაქტორის საშუალებით მოხდება ამ პრობლემასთან გამკლავება. მათ შეიძლება მიმართონ ძიძას ან უპირატესობა მიანიჭონ საბავშვო ბაღს. ორივე შემთხვევაში ბავშვი წინასწარ უნდა შეამზადოთ: ძიძის აყვანის შემთხვევაში, რამდენიმე დღეს

მასთან ერთად უნდა დარჩეთ სახლში. ბავშვი უნდა ხედავდეს, რომ თქვენ პატივს სცემთ ამ ახალ ადამიანს და ის უნდა გრძნობდეს თქვენს კეთილგანწყობას ძიძის მიმართ. ძიძას წინასწარ გააცანიეთ თქვენი შვილის საყვარელი გიმრები, სიმღერები, სათამაშოები, კერძები, ყველაფერი ის, რაც მას მოსწონს. თუ გადაწყვეტთ, ბავშვი საბავშვო ბაღში მიიყვანოთ, თავიდან რამდენჯერმე ერთად წადით იქ და დაესწარით იქაურ მეცადინეობებს. ბავშვმა უნდა ნახოს რა საინტერესო და სახალისოა იქ სიარული. ბავშვთან განშორების ნუთებში შეგიძლიათ, მას შესთავაზოთ, რომ საბავშვო ბაღში თან წაიღოს რამდენიმე საყვარელი სათამაშო. შეპირდით, რომ სამსახურში სულ მასზე იფიქრებთ და ხშირად მოიკითხავთ. ასევე, შეგიძლიათ ერთად დაამზადოთ რაიმე „თილისმა“ (დახატოთ სურათი, ან გააკეთოთ რაიმე ფიგურა), რომელსაც სამსახურში თან გაიყოლებთ, ბავშვი კი ბაღში წაიღებს. ეს განშორების წინა „რიტუალები“ ბავშვს შეუძლებს ემოციურ მდგომარეობას და თავს უფრო დაცულად იგრძნობს. საყვარელი სათამაშო, „თილისმა“ თუ სხვა რამ, ის სავსებით, რასაც ბავშვი თქვენს სახლებსთან აიგივებს და როგორც თქვენს ნაწილს, ისე ატარებს თან. რა თქმა უნდა, შემოთავაზებული ხერხებიდან, ის უნდა ამოირჩიოთ, რომელიც თქვენი შვილის ინდივიდუალურ თავისებურებებს უფრო შეესაბამება. ყოველივე ეს კი დაგეხმარებათ შეასუსტოთ ბავშვის დამოკიდებულება თქვენზე.

თამუნა ანოზაძე